



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა: ჯანდაცვის მენეჯმენტი

სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 1-2 ოქტომბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი  
2019

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჯანდაცვის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მებონია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ჯიქია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ასლანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე, ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2007 წლიდან. პროგრამა აკრედიტებულ იქნა 2009, 2014 (13.12.2014წ.) წლებში.

აკრედიტაციის ახალი სტანდარტების, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭირო გახდა პროგრამის მოდიფიცირება. პროგრამაში ცვლილებები განიხილებოდა საფაკულტეტო და აკადემიურ საბჭოებზე, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და სტუდენტები, რის შედეგადაც პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია. კერძოდ, შეიცვალა მენეჯმენტის მიმართულების საგნები, რაც აამაღლებს მაგისტრის მომზადების ხარისხს. დაინერგა სწავლებისა და შეფასების ახალი მეთოდები. შეიცვალა სწავლის შედეგები, განახლდა საბიბლიოთეკო ფონდი.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 1-2 ოქტომბერს თბილისში მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა N4 და N6-ში. ვიზიტამდე 30 სექტემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (ნანა მებონია, დავით ჯიქია, დავით ასლანიშვილი, ელენე ხურციძე) სადამოს 6 საათითად 8 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

1-2 ოქტომბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.)დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას. პროგრამის მიზანია ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, მათთვის აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდება, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს ჯანმრთელობის

სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დარგის ზოგად და სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს და ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებას.

სამაგისტრო პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის (მენეჯმენტი) და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.

პროგრამის შინაარსი ეყრდნობა შრომის ბაზრის კვლევას და მისი შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სტრატეგიას. პროგრამაში ფართოდაა წარმოდგენილი ჯანდაცვის ობიექტების ეკონომიკისა და მენეჯმენტის არსი, დიდი დრო ეთმობა ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის სიღრმისეულ და სისტემურ შეფასებას და კრიტიკულ გააზრებას. სამაგისტრო პროგრამაზე სიღრმისეულად ისწავლება სტატისტიკური ანალიზი SPSS პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაზე. ისწავლება შერჩევითი და დეტერმინირებული, ასევე აღწერილობითი სტატისტიკური კვლევის მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამა ჯანდაცვის მენეჯმენტში არის 2-წლიანი, შედგება ოთხი სემესტრისაგან. სწავლება ორი წლის განმავლობაში მოიცავს 120 კრედიტს. აღნიშნული 120 კრედიტიდან 111 კრედიტი არის სავალდებულო, ხოლო 9 კრედიტი არის სპეციალობის არჩევითი კურსების.

პროგრამის სასწავლო კურსების შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო კომპონენტები (მეცნიერული კვლევის მეთოდი, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS, ბიზნეს კომუნიკაციები,) იძლევა საშუალებას სტუდენტს დაეუფლოს სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, ხოლო დარგის სტრუქტურაში მენეჯერის სპეციალობას რაც კიდევ უფრო მეტად გაუღრმავებს სტუდენტს სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და მენეჯერული საქმიანობის უნარებს.

სასწავლო კურსის სწავლების შედეგები შესაბამისობაშია მოცემულ სფეროში არსებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამის საფეხურებთან.

სწავლება ხორციელდება ლექცია-პრაქტიკულების ფორმატით. გამოიყენება PBL სტრუქტურა. ლექციები ინტერაქტიულია. მიმდინარეობს დისკუსია/დებატები. პრაქტიკულ მეცადინეობებზე – სემინარებზე პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს ცალკეულ შემთხვევებს, კონკრეტულ მაგალითებს. ორივე მხარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით გამჭვირვალედ და ობიექტურად. გათვალისწინებულია შეფასების სხვადასხვა კომპონენტები და მეთოდები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას სტუდენტების ცოდნისა და კომპეტენციების მაქსიმალური გამოვლენა.

უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესების მიმდინარეობის და აკადემიური

მიღწევების შესახებ. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო კურსების შერჩევაში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში.

უნივერსიტეტი (პროგრამა) დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით. მათ გააჩნიათ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პირების დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე ითვალისწინებს სტუდენტების კონსულტაციებს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და მათ შენარჩუნებას. დასაქმებულთა მოლოდინები უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით მეტწილად დაკმაყოფილებულია.

უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებითა და ინვენტარით, ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემით, ცენტრალიზებული გათბობის სისტემით. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები.

იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობდა კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია ექსპერტებს არ ჰქონდათ წვდომა და მათ საქმიანობას არ წარმოადგენდა უახლესი ინფორმაციის მიღება საკუთრივ უნივერსიტეტის სასესიო მდგომარეობის შესახებ და თუ რა ვითარებაა ბანკის იპოთეკურ სესხებთან მიმართებით.

შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, საზოგადოებისა და დამსაქმებლების მოთხოვნებისა და საჭიროების დადგენა.

პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტებსა და აკადემიურ საბჭოებს.

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, ითვალისწინებს აკრედიტაციის დროს მიღებულ რეკომენდაციებს. უნივერსიტეტში გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად გამოიყენება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები.

სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე, ეს უზრუნველყოფილია სხვადასხვა გამოკითხვის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვები.

#### ▪ რეკომენდაციები

- განსახილველია სამაგისტრო პროგრამის საჭიროებისა და მისი ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთება
- შესამუშავებელია და დასაწერია პროგრამის სამაგისტრო ბიუჯეტის შედგენის წესი
- რეკომენდირებულია ფაკულტეტის კრედიტისა და რემონტის ხარჯის სპეციფიკისა და დანიშნულების გარკვევა

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს კურსი, რომელიც გააერთიანებდა ძირითად საკითხებს ჯანდაცვის/საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტებისა და თანამედროვე ეტაპზე მათი მართვის პრინციპების შესახებ და სწავლებას განახორციელებდა დარგის (ჯანდაცვის/საზოგადოებრივი ჯანდაცვის) სპეციალისტი
- სასურველი იქნებოდა ინგლისურენოვანი ძირითადი ლიტერატურის მითითების შემთხვევაში დაშვების წინაპირობად მიჩნეული იყოს ინგლისური ენის ცოდნა.
- სასურველი იქნებოდა სხვადასხვა სასწავლო კურსების ნაწილს გააჩნდეს დაშვების წინაპირობა რაც მიეთითება სილაბუსში. იმისათვის რომ არ მოხდეს სასწავლო კურსების არასწორად არჩევა სტუდენტის მიერ.
- სასურველი იქნებოდა მეტი საკონსულტაციო საათები, რომელთა მიზანია სტუდენტების ინფორმირებულობა მომავალში მათი დასაქმების მხარდასაჭერად
- სასურველი იქნებოდა მომავალში სტუდენტების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას.
- სასურველია გარე ექსპერტ-შემფასებლების (ადგილობრივი თუ საერთაშორისო) ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში მისი განვითარებისა და სრულყოფის მიზნით.
- სასურველია გაიზარდოს პროგრამის განვითარების ბიუჯეტი, კერძოდ, გამოიყოს მეტი თანხები პროგრამის სამეცნიერო კვლევის მიმართულებით
- მიზანშეწონილია თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოსაფხვრელად და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება /გაუმჯობესებისათვის გაიწეროს კონკრეტული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

მაგისტრანტები გადიან „მონაცემების დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი SPSS for Windows-ის გამოყენებით“ სრულ კურსს, აქვთ შესაძლებლობა აღნიშნული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას

▪ **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამამ წინა აკრედიტაცია 2014 წელს გაიარა; აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები - (1) პროგრამების შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის; (2) სასურველი იქნებოდა წიგნადი ფონდის განახლება თანამედროვე დარგებრივი ლიტერატურით; (3) სასურველი იქნებოდა ინვენტარის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, სასწავლო მასალების განახლება - შესრულებულია: პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, წიგნადი ფონდი და ინვენტარი განახლებულია.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას. პროგრამის მიზანია ჯანდაცვის მენეჯმენტის სპეციალისტების მომზადება, მათთვის აუცილებელი და თანამედროვე ცოდნის მიწოდება, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს ჯანმრთელობის სისტემაში განხორციელებული რეფორმების შედეგად სისტემის მართვის სფეროში არსებული თანამედროვე საჭიროებებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. აღნიშნული მიზანი რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის ამოცანებია კურსდამთავრებულთა პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი მმართველობითი კომპეტენციების გამომუშავება, რაც გულისხმობს დარგის თეორიული ცოდნის შექმნას, მენეჯერის პროფესიისთვის სავალდებულო ეთიკური ღირებულებებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას, შემდგომ პროფესიულ განვითარება დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებას, მართვის მიმართულებით კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, ჯანდაცვასა და ეკონომიკის სხვა დარგებში მენეჯერულ საქმიანობას. ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №05, 30.05.2019წ., რექტორის ბრძანება №162, 30.05.2019წ.)
- უნივერსიტეტის წესდება ( რექტორის ბრძანება №34, 11.02.2019წ. );
- ბაზრის კვლევა
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.)
- ჯანდაცვის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის დებულება (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #01, 25.01.2019, რექტორის ბრძანება #20, 25.01.2019)
- ვებ-გვერდი
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან



**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ მოსალოდნელ შედეგებთან და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, დარგის ზოგად და სპეციფიკურ უნარ-ჩვევებს და ღირებულებების



სისტემის ჩამოყალიბებას. სწავლის შედეგები ითვალისწინებენ დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას. შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს.

- კურიკულუმის გაცნობით დგინდება, რომ ის ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ფართოდაა წარმოდგენილი მენეჯმენტის კურსები - მენეჯმენტის თანამედროვე, შედარებითი, სტრატეგიული, ფინანსური, ჰოსპიტალური, პროექტების, მარკეტინგ-მენეჯმენტი, ჯანდაცვის ეკონომიკა და პოლიტიკა, ბიზნეს კომუნიკაციები. უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრანტები გადიან „მონაცემების დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი SPSS for Windows-ის გამოყენებით“ სრულ კურსს. თითოეული კურსის გასვლისას სტუდენტები ეცნობიან სწორედ ჯანდაცვის ობიექტებში არსებულ სპეციფიკას და დამატებით სწავლობენ სადაზღვევო საქმეს, ჯანდაცვის ობიექტების მენეჯმენტს, გადიან პრაქტიკას სამედიცინო დაწესებულებებში; ამასთან, პროგრამის ფარგლებში მიეწოდებოდათ გლობალური ჯანმრთელობის კურსი, რომელიც სილაბუსიდან გამომდინარე სრულად არ შეიცავს ჯანდაცვის თანამედროვე პრიორიტეტებს და თანაც, ასწავლის განათლებით ეკონომისტი საქონელმცოდნე. სასურველია, რომ ეს კურსი ისწავლებოდეს უფრო სრულად და თანაც, დარგის სპეციალისტის მიერ
- ბაზრის კვლევის საფუძველზე პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლება გაძლიერდა

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგები;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება;
- სასწავლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ბაზრის კვლევა;
- ვებ გვერდი.
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს კურსი, რომელიც სრულად გააერთიანებდა ძირითად საკითხებს ჯანდაცვის/საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრიორიტეტებისა და თანამედროვე ეტაპზე მათი მართვის პრინციპების შესახებ და სწავლებას განახორციელებდა დარგის (ჯანდაცვის/საზოგადოებრივი ჯანდაცვის) სპეციალისტი

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- მაგისტრანტები გადიან „მონაცემების დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი SPSS for Windows-ის გამოყენებით“ სრულ კურსს, აქვთ შესაძლებლობა აღნიშნული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p><b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b></p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ შპს „სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის (მენეჯმენტი) და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.</li> <li>○ აგრეთვე, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52<sup>1</sup>-ე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ პირებს ქართულ ენაში ტესტირების წარმატებით გავლის, სპეციალობის (მენეჯმენტი) და ინგლისური ენის (B2 დონე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.</li> <li>○ ქართული ენის (B2) და/ან ინგლისური ენის (B2) დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი გათავისუფლდება გამოცდისაგან.             <ul style="list-style-type: none"> <li>○ ჩარიცხვის პროცედურები განიხილება რეგულარულად, ხორციელდება ჩარიცხვების დინამიკის ანალიზი. პროცესში ჩართული ადმინისტრაციული გუნდი კარგად იცნობს აუცილებელ პროცედურულ საკითხებს.</li> </ul> </li> </ul>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი №02, 11.02.2019 წ.; რექტორის ბრძანება №36, 11.02.2019წ.)</li> <li>○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან</li> <li>○ ვებ-საიტი <a href="https://geomedi.edu.ge">https://geomedi.edu.ge</a></li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განვითარებისათვის სასწავლო უნივერსიტეტის და პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან, რომელიც ასევე არის პროგრამის ინიციატორი, განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, შეფასდა ჯანდაცვის სისტემაში არსებული გამოწვევები, რამაც ხელი შეუწყო პროგრამის ფორმირებას.

პროგრამის შინაარსი ეყრდნობა შრომის ბაზრის კვლევას და მისი შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სტრატეგიას. პროგრამაში ფართოდაა წარმოდგენილი ჯანდაცვის ობიექტების ეკონომიკისა და მენეჯმენტის არსი, დიდი დრო ეთმობა ჯანდაცვის ობიექტების საქმიანობის სიღრმისეულ და სისტემურ შეფასებას და კრიტიკულ გააზრებას. პროგრამა განიხილავს ჯანდაცვის მენეჯმენტის სამეცნიერო თეორიებს და სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდებს, ასევე, მონაცემთა ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს. ჯანდაცვის ობიექტებში სამედიცინო და სამეურნეო საქმიანობის მართვის ორგანიზების საკითხები და საინფორმაციო სისტემების როლი ჯანდაცვის მენეჯმენტში. სამაგისტრო პროგრამაზე სიღრმისეულად ისწავლება სტატისტიკური ანალიზი SPSS პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაზე. ისწავლება შერჩევითი და დეტერმინირებული, ასევე აღწერილობითი სტატისტიკური

კვლევის მეთოდები.

პროგრამაში სწავლება ხორციელდება კონკრეტული საკითხების სიღრმისეული განხილვით და მეცნიერული ხედვითა და შეფასებით.

პროგრამაში თანმიმდევრულადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები.

პროგრამაში შემავალი კომპონენტების ფარგლებში შეთავაზებული კურსების მოცულობა წარმოდგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის

შესაბამისად:

საგანმანათლებლო პროგრამა ჯანდაცვის მენეჯმენტში არის 2-წლიანი, შედგება ოთხი სემესტრისაგან. სწავლება ორი წლის განმავლობაში მოიცავს 120 კრედიტს. აღნიშნული 120 კრედიტიდან 111 კრედიტი არის სავალდებულო, ხოლო 9 კრედიტი არის სპეციალობის არჩევითი კურსების.

1. სპეციალობის სავალდებულო კურსები - 111 კრედიტი ;

2. სპეციალობის არჩევითი კურსები - 9 კრედიტი;

სემესტრში 30 კრედიტი, წელიწადში 60 კრედიტი. 1 კრედიტი=25 საათი

ერთი აკადემიური წელი : 42 კვირა. სემესტრის ხანგრძლივობა: 21 კვირა (მათ შორის: სასწავლო -15; სასესიო -4; დამატებითი გამოცდები -2).

- კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, პრაქტიკული თუ კვლევითი დავალებები ადეკვატურია.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- ინფორმაცია პროგრამის შედეგაში და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის შესახებ;
- სასწავლო გეგმა, კურიკულუმი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- ბაზრის კვლევა;
- პროგრამის შემუშავების, განხორციელების და შეფასების სისტემა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი №02, 11.02.2019წ.; რექტორის ბრძანება №36, 11.02.2019წ.)
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ვებ-საიტი <https://geomedi.edu.ge>

#### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამის სასწავლო კურსების შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეულ სილაბუსში წარმოდგენილია, სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, მითითებულია როგორც საკონტაქტო ასევე არასაკონტაქტო საათების რაოდენობა, რომელთა მოცულობა და თანაფარდობა სტუდენტის სასწავლო დატვითვის მოცულობას შეესაბამება და სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტურია. დამატებით, საკონსულტაციო საათების განრიგი უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის.
- სილაბუსებში მითითებულია როგორც ძირითადი ასევე დამატებითი სასწავლო მასალა, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ბეჭდვითი და ელექტრონული სახით. დამატებით ლექტორებსა და სტუდენტებს შორის არსებობს აქტიური ელექტორნული მიმოწერა ძირითადი და/ან დამატებითი ლიტერატურის მოძიების შესახებ. თუმცა სასწავლო კურსების დიდი ნაწილი დაშვების წინაპირობის გარეშეა, აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია

<p>სილაბუსებში.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ სტუდენტთა შეფასების კომპონენტი აღწერილია დეტალურად შესაბამისი კრიტერიუმებით.</li> <li>○ სასწავლო კურსის სწავლების შედეგები შესაბამისობაშია მოცემულ სფეროში არსებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამის საფეხურებთან - სფეროს ღრმა ცოდნა, რომელიც ქმნის საფუძველს ინოვაციური მიდგომების განვითარების თვალსაზრისით, იძლევა დამოუკიდებელი მუშაობის უნარს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.</li> <li>○ უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა წინა აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სასწავლო კურსის მასალების განახლების შესახებ</li> </ul>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სასწავლო კურსების სილაბუსები</li> <li>- კურიკულუმის რუკა</li> <li>- აკადემიური საბჭოს ოქმი №04, 30.04.2019წ., რექტორის ბრძანება №134, 30.04.2019წ.</li> <li>- ინტერვიუები სასწავლო კურსების ავტორებთან და სტუდენტებთან</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სასურველი იქნებოდა ინგლისურენოვანი ძირითადი ლიტერატურის მითითების შემთხვევაში დაშვების წინაპირობად მიჩნეული იყოს ინგლისური ენის ცოდნა.</li> <li>- სასურველი იქნებოდა სხვადასხვა სასწავლო კურსების ნაწილს გააჩნდეს დაშვების წინაპირობა რაც მიეთითება სილაბუსში. იმისათვის რომ არ მოხდეს სასწავლო კურსების არასწორად არჩევა სტუდენტის მიერ.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამამ წინა აკრედიტაცია 2014 წელს გაიარა; აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები - (1) პროგრამების შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა ყოფილიყო მისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირათათვის; (2)სასურველი იქნებოდა წიგნადი ფონდის განახლება თანამედროვე დარგებრივი ლიტერატურით; (3)სასურველი იქნებოდა ინვენტარის, ლაბორატორიული ხელსაწყოების, სასწავლო მასალების განახლება - შესრულებულია: პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა</li> </ul>



დაინტერესებული პირისთვის, წიგნადი ფონდი და ინვენტარი განახლებულია.

**შეფასება**

ო გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო კომპონენტები (მეცნიერული კვლევის მეთოდი, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS, ბიზნეს კომუნიკაციები,) იძლევა საშუალებას სტუდენტი დაეუფლოს სამეცნიერო კვლევის მეთოდებს, ხოლო დარგის სტრუქტურაში მენეჯერის სპეციალობას რაც კიდევ უფრო მეტად გაუღრმავებს სტუდენტს სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისა და მენეჯერული საქმიანობის უნარებს.
- სტუდენტი შეძლებს ისარგებლოს საბიბლიოთეკო რესურსით.
- პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. ხოლო მეოთხე სემესტრში სპეციალობაში პრაქტიკის გავლის შემდეგ ამაღლდება მაგისტრის მომზადების ხარისხი. პროგრამა უზრუნველყოფს საბაზრო პროცესების იდენტიფიცირებისა და შეფასების უნარებს.
- პროგრამის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკისა და მენეჯმენტის, ასვე მარკეტინგის საკითხები, რომელთა თეორიული შესწავლა ხორციელდება პროგრამის საწყის ეტაპზე, როგორც საბაზისო ცოდნა. ეს საკითხები წარმოდგენილია დამოუკიდებელი კურსების სახით. შემდგომ აქცენტები გადადის ჯანდაცვის და ჯანდაცვის მენეჯმენტის საკითხებზე, ხდება მიღებული საბაზისო ცოდნის და უნარების ტრანსფერი სპეციალობის მიმართულებით, მიღებული ცოდნა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შემცველია, სტუდენტი იძენს უნარს მიღებული ცოდნა გამოიყენოს განსხვავებულ სიტუაციებში (მაგ., ფინანსების მართვის და საქმისწარმოების უნარები) და შეძლოს ამოცანის გადაჭრის პრინციპებზე ფოკუსირება. პროგრამა სრულდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით,

რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს, პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები შეაჯამოს და გაანალიზოს.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის შედეგად მაგისტრანტს ეცოდინება და შეეძლება:

- დამოუკიდებლად კვლევითი მუშაობის წარმართვა;
  - კვლევის მეთოდების გამოყენება და მოდიფიცირება;
  - მოცემული თემისათვის შესაბამისი ლიტერატურული წყაროების მოძიება, ბიბლიოგრაფიის შედგენა;
  - მოძიებული მასალების კრიტიკულად წაკითხვა, სამეცნიერო იდეებისა და მოსაზრებების დამუშავება, ანალიზი.
  - ლიტერატურული მიმოხილვის ანალიზის საფუძველზე პრობლემატიკის აქტუალობის შეფასება;
  - საკუთარი მოსაზრებების თანმიმდევრული გადმოცემა, მიღებული მონაცემების ღრმა ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთება;
  - მიღებული შედეგების წარმოდგენა წერილობით, სამაგისტრო ნაშრომის სახით, მისი პრეზენტაცია და დაცვა;
  - შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;
  - მიღებული შედეგების პრაქტიკაში დანერგვა რეკომენდაციების სახით.
- პროგრამა, მის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო კომპონენტებით (თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, სტატისტიკა/SPSS) საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიმუშავონ სამეცნიერო კვლევის, მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შედეგების ინტერპრეტირების პრაქტიკული ჩვევები.
  - პროგრამა უზრუნველყოფს მენეჯერული უნარების, სწავლების დასრულებისას ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების პრაქტიკული ჩვევების, ფინანსური დოკუმენტწარმოების და გადაწყვეტილების მიღების უნარის ჩამოყალიბებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა, კურიკულუმი;
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და შეფასების წესი
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან (კლინიკებთან )

#### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურთან და კურსის შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში სწავლება ხორციელდება ლექცია-პრაქტიკულების ფორმატით. გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული (PBL) სწავლება. ლექციები ინტერაქტიულია. მიმდინარეობს დისკუსია/დებატები. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს პროცესი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. პრაქტიკულ მეცადინეობებზე – სემინარებზე პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს ცალკეულ შემთხვევებს, კონკრეტულ მაგალითებს. ორივე მხარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე. სემინარზე ხორციელდება შესრულებული სამუშაოს თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, მოძიებული ინოვაციური მასალის განხილვა და შეფასება. ამას გარდა, გამოიყენება ბლიც გამოკითხვები, შუალედური ტესტ შეფასებების სისტემა, ისწავლება და იხვეწება პრეზენტაციის მომზადების და ზეპირად წარმოდგენის ტექნიკა,

<p>ყოველწლიურად ხდება შიდასაუნივერსიტეტო და სხვა კონფერენციებისათვის შერჩეული თემატიკის მომზადება და კონფერენციებში მონაწილეობა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მეოთხე სემესტრში დიდი ადგილი ეთმობა პრაქტიკულ საქმიანობას და სტუდენტთა ჯანდაცვის ობიექტების მართვის პროცესებში ჩართულობას, რეალურ გარემოში.</li> </ul>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;</li> <li>○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს ოქმი №02, 11.02.2019წ.; რექტორის ბრძანება №36, 11.02.2019წ.)</li> <li>○ სასწავლო გეგმა, კურიკულუმი;</li> <li>○ პროგრამის სილაბუსები;</li> <li>○ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> <li>○</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად (იხ. თანდართული დოკუმენტები). შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია ის პრინციპები, რომლებიც მოცემულია „უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის №3 ბრძანებაში.

